O-SGP-HSE-LT-2021-3-29/034351336

შ.პ.ს სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი
300 არაგველის #24
0144, თბილისი, საქართველო
ტელ: (+995 32) 2 439 757
ფაქსი: (+995 32) 2 439 747
ელ-ფოსტა: info.sgp@socar.ge
www.sgp.ge12345

SOCAR GEORGIA PETROLEUM LTD
300 Aragveli St. 24
0144, Georgia, Tbilisi
Phone: (+995 32) 2 439 757
Fax: (+995 32) 2 439 747
e-mail: info.sgp@socar.ge
www.sgp.ge

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

№ O-SGP-HSE-LT-2021-3-29/03

თბილისი, 29.03.2021 წ

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი წერილი N3077/01-ის საფუძველზე, შესათანხმებლად წარმოგიდგენთ შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის" (ს/კ 202352514) ავტოგასამართი სადგურების (მის. ქ. ფოთი, აღმაშენებლის ქ. და ქ. თბილისი, ქერჩის ქ.) სკრინინგის განცხადებებს, რომლებშიც თქვენი მოთხოვნის შესაბამისად მოცემულია დაზუსტებული ინფორმაცია ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული წყლის გამწმენდი ნაგებობის შესახებ.

პატივისცემით,

დირექტორი

ლევან გიორგაძე

შემსრულებელი: ანა ქობლიანიძე (558186688)

5700
31 03 21
1/CD

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს

ბატონ ლევან დავითაშვილს

სკრინინგის განცხადება

გაცნობებთ, რომ შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ საქმიანობის სფერო „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-2 დანართის მე-6 პუნქტის 6.3 ქვეპუნქტის თანახმად განეკუთვნება „ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ნავთობქიმიური ან/და ქიმიური პროდუქტის საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია“-ს.

სამეგრელოში, ქ. ფოთში აღმაშენებლის ქუჩაზე მიმდინარეობს ავტოგასამართი სადგური „ფოთი 1“-ის ექსპლუატაცია (ს/კ 04.01.09.703 04.01.09.564; GPS კოორდინატები X: 719826.68691825; Y: 4669815.60634069). მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებულია ავტოგასამართი სადგური, შპს „ბლექ სი ინდასტრის“ საკუთრებას წარმოადგენს და შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმ“-ს გადაცემული აქვს იჯარით. სადგურის ექსპლუატაციას ახორციელებს შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“.

ავტოგასამართი სადგური აშენდა დასახლებული პუნქტიდან 20 მეტრის დაშორებით, ხოლო ზღვის სანაპიროდან 480 მ-ით. ობიექტი არ განთავსებულა ჭარბტენიან, დაცულ, ტყით მჭიდრო დაფარულ ტერიტორიასთან, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან ან სხვა ობიექტთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-10 პუნქტის 10.6. ქვეპუნქტის თანახმად, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და ექსპლუატაცია ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას. დაგეგმილი ტექნოლოგიური ცვლილების განხორციელებამდე საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასავლელად და ველით თქვენს გადაწყვეტილებას.

ქ. ფოთის მერიასთან შეთანხმებულია მშენებლობის პროექტი #455, 2003 წლის 26 აგვისტოს გაიცა მშენებლობის სანებართვო მოწმობა # 41 და ექსპლუატაციაში მიღების აქტი 2003 წლის 12 დეკემბერს, რომელიც მიზნად ისახავდა ავტოგასამართი სადგურის, კაფე - მარკეტის და ავტოსამრეცხაოს ექსპლუატაციას.

მიწის ნაკვეთის ფართობი შეადგენს 710 მ² და მასზე განთავსდა ოფის-მარკეტის შენობა, მარიგებელი სვეტების ფარდული, თხევადი საწვავით ავტომანქანების გამართვისათვის გათვალისწინებული ბეტონის სარკოფაგში მოთავსებული 3 ჰორიზონტალური მიწისქვეშა სტაციონალური რეზერვუარი, რომელიც გაყოფილია 4 ნაწილად და 2 ჰორიზონტალური მიწისზედა სტაციონალური რეზერვუარი, რომელიც შემოსაზღვრულია ბეტონის კედლებით.

რეზერვუარების საპროექტო მოცულობა - 60,7 მ^3:

აქედან ბენზინის საწვავის რეზერვუარი 3 ც, მოცულობა:

1- 24 მ ^{3}, 2 -8,9 მ ^{3} , 3 – 5 მ ^{3}.

დიზელის საწვავის რეზერვუარები 3 ც, მოცულობა:

1- 8,9 მ ^{3}, 2 -8,9 მ ^{3} ,3 – 5 მ ^{3}.

(დამატებითი შემოწმება ჩატარებულია დაქირავებული ორგანიზაციის მიერ).

რეზერვუარებზე მოწყობილი სასუნთქი სარქველების სიმაღლე: h – 1,5 მ.

დიამეტრი: D – 0,62 მ.

ავტოგასამართ სადგურზე მიმდინარეობს ბენზინის და დიზელის რეალიზაციია.

ავტოგასამართ სადგურზე რეალიზაციისათვის საწვავის მიღება ხდება კომპანიის კუთვნილი ავტოცისტერნებით და გადატა ხორციელდება ზემოთაღნიშნულ რეზერვუარებში, საიდანაც ტექნოლოგიური მილსადენით მიეწოდება მარიგებელ სვეტებზე, საიდანაც ხდება ავტომანქანების საწვავით გამართვა.

მარიგებელი სვეტები - 2 ც.

ბენზინის - 1ც.

დიზელის - 1ც.

ავტომანქანაში ჩასასხმელი პისტოლეტები - 16 ც, აქედან:

12 ც - ბენზინი.

4 ც - დიზელი.

ავტოგასამართი სადგურისათვის დაგეგმილი (საპროექტო), წლიური რეალიზაცია შეადგენს:

ბენზინი - 1 000 000 ლ.

დიზელი - 1 100 000 ლ.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ადგილი აქვს საწარმოს ძირითად უბნებზე მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ გაფრქვევას ატმოსფეროში, რომლის შესახებ დოკუმენტი „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონალური წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის 5 წლიანი ტექნიკური ანგარიში“ შესათანხმებლად წარედგინება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტს.

წარმოქმნილ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს:

ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადები. მათი წარმოქმნის მაქსიმალური ინტენსივობა ფიქსირდება ავტოცისტერნებიდან რეზერვუარებში ნავთობპროდუქტების მიღებისას.

დიზელის საწვავის წლიური სავარაუდო რეალიზაცია შეადგენს 1 100 $მ^3$ (1 100 000 ლ/წ).

დიზელის შემთხვევაში მავნე ნივთიერებათა ემისია გამოითვლება შემდეგი ფორმულებით:

$M=V_1 * C_{საშ}$ (გ/წმ)

$G= V_1 * C_{საშ} * T * 3600/10^6$ (ტ/კვარტალი ან წელი)

$C_{საშ}$ - მავნე ნივთიერებათა საშუალო კონცენტრაცია აირჰაერმტვრნარევში, გ/$მ^3$;

T - მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროს მუშაობის დრო, სთ, კვარტალი ან წელი.

წლიური ემისია - 1 100 000 ლ/წელ * 0,0025 გ/ლ * 10^{-6}=0.00275 ტ/წ

ავტოგასამართი სადგურის მუშაობის რეჟიმი (24 სთ/დღ წლის განმავლობაში) გათვალისწინებით წამური ემისია იქნება: დიზელისთვის -

0.00275 ტ/წ * 10^6/365დღ/24სთ/3600წმ=0.000087202 გ/წმ.

ბენზინის საწვავის წლიური სავარაუდო რეალიზაცია შეადგენს 1 000 $მ^3$ (1 000 000 ლ/წ).

მავნე ნივთიერებათა ემისია გამოითვლება ფორმულებით:

$M=V_1 * C_{საშ}$ (გ/წმ)

$G= V_1 * C_{საშ} * T * 3600/10^6$ (ტ/კვარტალი ან წელი)

$C_{საშ}$ - მავნე ნივთიერებათა საშუალო კონცენტრაცია აირჰაერმტვრნარევში, გ/$მ^3$;

T - მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროს მუშაობის დრო, სთ, კვარტალი ან წელი.

წლიური ემისია - 1 000 000 ლ/წელ * 1,4 გ/ლ * 10^{-6} = 1.4 ტ/წ

ავტოგასამართი სადგურის მუშაობის რეჟიმი (24 სთ/დღ წლის განმავლობაში) გათვალისწინებით წამური ემისია იქნება: ბენზინისთვის -

1.4 ტ/წ * 10^6/365დღ/24სთ/3600წმ =0.0443937 გ/წმ

ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისათვის საჭირო წყალაღება და წყალარინება ხორციელდება ქალაქში არსებული წყლის სისტემიდან.

წყალარინება და საყოფაცხოვრებო წყალჩაშვება ხორციელდება ავტოგასამართ სადგურზე მოწყობილი წყალარინების და საკანალიზაციო სისტემის გავლით ქალაქის საკანალიზაციო სისტემაში. ავტოგასამართ სადგურზე დასაქმებულია ადგილობრივი

მოსახლეობა, რის გამოც დემოგრაფიული ცვლილება მოსალოდნელი არ არის. ობიექტის პერსონალის მაქსიმალური რაოდენობა არის 8 ადამიანი. ავტოგასამართი სადგური ფუნქციონირებს 365 დღე წლის მანძილზე და 24 საათი დღის მანძილზე.

აღნიშნული ობიექტის საქმიანობა დადებით გავლენას ახდენს ქალაქის სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე.

ობიექტის მიწის სამუშაოების წარმოების პროცესში, არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი არ დაფიქსირებულა. ავტოგასამართი სადგურის მშენებლობისას რაიმე სახის ბუნებრივი რესურსების გამოყენებას ადგილი არ ჰქონია.

ავტოგასამართი სადგურის მშენებლობისას ნიადაგის ფენა მოიხსნა კანონის სრული დაცვით.

ექსპლუატაციის პერიოდში თუ სადგურზე განხორციელდება სარემონტო სამუშაოები და წარმოიქმნება სამშენებლო ნარჩენი, მისი გადაცემა მოხდება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება/ ნებართვის მქონე შესაბამის ორგანიზაციაზე.

ავტოგასამართი სადგურის მუშაობის დროს არსებობს რისკი საწვავის დაღვრის, რასაც შესაძლოა სდევდეს ნიადაგის ან/და გრუნტის წყლების დაბინძურება. ჩატარდა რისკების წინასწარი შეფასება და ინციდენტის მაქსიმალური პრევენცია.

ობიექტზე უსაფრთხოების მიზნით განთავსებულია დაღვრის აღჭურვილობა. ეს შეიძლება იყოს 0,5 მ3 აბსორბენტები ან/და ქვიშა, რომელიც გამოიყენება საჭიროებისამებრ. რეზერვუარებსა და ჩამსხმელ დისპენსერებზე დამონტაჟებულია დაღვრის საწინააღმდეგო ავარიული გათიშვის ღილაკები და ჩამკეტები. ობიექტზე ნავთობით დაბინძურებული წყლის წარმოქმნას ადგილი არ ჰქონია, თუმცა მისი წარმოქმნის რისკი არსებობს. იმ მიზნით, რომ არ მოხდეს გარემოზე ზიანის იგეგმება ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული წყლის გამწმენდი დანადგარის მოწყობა (PetroMetal). დანადგარში დაბინძურებული წყალი (მცირე დაღვრის შედეგად) ჩაედინება არხების მეშვეობით აღნიშნულ დანადგარში, რომელიც მოახდენს მის გაწმენდას. შედეგად, გამოყოფილი იქნება ტექნიკური წყალი და მყარი/თხევადი სახიფათო ნარჩენები. ამ დაბინძურებული ნავთობიანი შლამისგან დანადგარის გაწმენდა მოხდება პერიოდულად, ლიცენზირებული კომპანიის მიერ. დამონტაჟებული იქნება კომპაქტური გამწმენდი ნაგებობა წარმადობით 3 ლ/წმ. გამწმენდი დანადგარის სქემა (ჭრილი და გეგმა), მუშაობის ტექნოლოგიური სქემა, ინფორმაცია დანადგარის შესახებ და ნახაზები შეგიძლიათ იხილოთ დანადგარის პასპორტში (დანართი).

ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირების შედეგად წარმოქმნილი, მავნე ნივთიერებების ემისიების გავლენას საწარმოს განლაგების ზონის გრუნტის წყლებზე და ნიადაგზე პრაქტიკულად ადგილი არ ჰქონია. ამას განაპირობებს ის გარემოება, რომ საწარმოო ტექნოლოგიური პროცესების ყველა ციკლის ფუნქციონირება - რეალიზაცია, არ წარმოქმნის გრუნტის წყლების დაბინძურების შესაძლებლობას საწარმოს გარე პერიმეტრზე და შესაბამისად არ არსებობს წინაპირობა გრუნტის წყლების და ნიადაგის დაბინძურების

წარმოქმნის მიმართულებით, რადგან საწარმოო პროცესი მიმდინარეობს ტერიტორიაზე, სადაც ნარჩენების დამუშავების უბნები მობეტონებულია.

ექსპლუატაციისას ობიექტზე ხმაურის დონე არ აჭარბებს დადგენილ ზომებს. ობიექტზე არ ხდება ისეთი საქმიანობა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ხმაურის დადგენილი ნორმების დარღვევა.

ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციისას შესაძლოა წარმოიქმნას სახიფათო ნარჩენი, როგორიცაა ნავთობით დაბინძურებული ქვიშა, ტანისამოსი, აბსორბენტი და სხვა ნარჩენი. მოხდება მათი შენახვა სპეციალურ კასრში და შემდგომში დამუშავების/განადგურების მიზნით ინსინერაციის გზით გადაეცემა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების/ნებართვის მქონე კომპანიას. ნარჩენების მართვა განხორციელდება შესაბამისი კოდექსის მიხედვით. ნარჩენების მართვის გეგმაში გათვალისწინებულია აღნიშნული ობიექტი.

ნავთობით დაბინძურებული ქვიშის ან ნიადაგის ფენის წარმოქმნის შემთხვევაში ნარჩენი გადაეცემა კომპანიას, რომელსაც აქვს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება/ ნებართვა მოცემული ნარჩენი ბიორემედიაციის.

ნავთობით დაბინძურებული წყლის შემთხვევაში გადაეცემა კომპანიას, რომელსაც აქვს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება/ ნებართვა მოცემული ნარჩენის დამუშავების (სეპარირების/ინსინერაციის). ნავთობით დაბინძურებული წყლის წარმოქმნა ხდება საწვავის რეზერვუარების გარეცხვისას, რის შესახებაც წინასწარ ეცნობება შესაბამისი ლიცენზიის მქონე კომპანიას ნარჩენების წარმოშობის თაობაზე.

რაც შეეხება თხევად საყოფაცხოვრებო ნარჩენებს აღნიშნულ ობიექტზე, საყოფაცხოვრებო საკანალიზაციო ქსელის არსებობის გამო, მათი შეგროვება ხდება არსებულ საკანალიზაციო ქსელში. თხევადი საყოფაცხოვრებო ნარჩენების განთავსება (ჩაშვება) ხდება ადგილობრივ მუნიციპალურ საკანალიზაციო ქსელში.

მუნიციპალური ნარჩენის გატანა ხდება შესაბამისი მუნიციპალური სამსახურის მიერ, გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. ნარჩენების შეგროვება ხდება სპეციალურ კონტეინერებში, სეპარირების პრინციპის დაცვით.

სახანძრო უსაფრთხოების მიზნით, ავტოგასამართი სადგური უზრუნველყოფილია სახანძრო ინვენტარით და საჭირო რაოდენობის პირველადი ქრობის საშუალებებით (ცეცხლმაქრებით). დამატებით მოწყობილია ხანძრის აღმომჩენი სახანძრო სიგნალიზაციები, რომელიც ექვემდებარება პერიოდულ შემოწმებას.

აღნიშნული ობიექტი თავისი ზომიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, არ ახდენს ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ობიექტის უარყოფითი გავლენა გარემოზე დაბალია, შესაბამისად კუმულაციური ზემოქმედებაც მინიმალურია.

ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის

დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ბაჩო მაჭარაძე